უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "თავდაცვა და უსაფრთხოება"

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

20 დეკემბერი, 2024

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი **გვანცა**

გვარი **აბდალაძე**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218083222

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	თავდაცვა და უსაფრთხოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	I (ბაკალავრიატი)
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VI
4	კვალიფიკაციის დასახელება	თავდაცვისა და უსაფრთხოების ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	1031 სამხედრო საქმე და თავდაცვა
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	260
9	განხორციელების ადგილი[5]	ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი, გორი, საქართველო, 1400.
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული MES 8 23 0001682894, 08/12/2023
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	08/12/2023
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული	09/12/2024

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

	ვადა, თარიღი	
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	08/12/2030

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია დაორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. **რეკომენდებულია** ვიწრო აქცენტის მქონე სწავლის შედეგების გადახედვა და ხელახლა ფორმულირება. სწავლის შედეგები შეიძლება დაიწეროს სწავლის სფეროზე ადაპტირებული საქართველოს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს აღწერების გამოყენებით. მაგალითად, სწავლის შედეგი „რთული პრობლემების/გამოწვევების/შემთხვევების გადასაჭრელად აანალიზებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ, სამხედრო, დიპლომატიურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებების ძირითად კონცეფციებს და თეორიებს“ შეიძლება გახდეს „პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული, სამხედრო, დიპლომატიური და ჰუმანიტარული მეცნიერებების თეორიების გაფართოებული ცოდნა, მათ შორის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული ანალიზი“, და დაჯგუფდეს სწავლის სფეროს ქვეშ „ცოდნა/ გაცნობიერება“. ამგვარად, ეს სწავლის შედეგები მოიცავს მრავალი დაქვემდებარებული კურსის სწავლის შედეგს, რომელიც უფრო ბიჰევიორისტული, აღწერილობითი და გაზომვადი ფორმით არის დაწერილი, რაც შემდეგ შეიძლება აისახოს სწავლის შედეგების მატრიცაში;
2. **რეკომენდებულია** პროგრამების სწავლის შედეგების გადახედვა: რაოდენობის შემცირება, მათი ობიექტის გაფართოება და მათი დაჯგუფება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ აღწერილი სწავლის სფეროების მიხედვით („ცოდნა/ გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობა“). უფრო მეტიც, რეკომენდებულია, სადაც რელევანტური და მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგებში სამოქალაქო და სამხედრო ასპექტების უფრო მკაფიოდ გამიჯვნა და იმ სწავლის შედეგების გადახედვა და ხელახლა ფორმულირება, რომლებიც დაწერილია კომპეტენციების მიხედვით, რათა მათი როგორც სწავლის შედეგების გაზომვა მოხდეს საგანმანათლებლო გარემოში;
3. **რეკომენდებულია** კურსის სწავლის შედეგების გადახედვა „პასუხისმგებლობის/ ავტონომიურობის“ გათვალისწინებით და პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა („ცოდნა/ გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობა“).

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით (MES 5 23 001682894) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „თავდაცვა და უსაფრთხოება“ მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და რეკომენდაციების (3 რეკომენდაცია) შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელიწადი. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში უსდ-მ წარმოადგინა დათქმულ ვადაში (02.12.2024).

უსდ-ის ანგარიშს თანდართული აქვს შემდეგი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი; 3 სასწავლო კურსის სილაბუსი; უსდ-ის ბრძანება სააკრედიტაციო ანგარიშის მომზადების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ და კომისიის შეხვედრის ოქმები (2 ოქმი); უსდ-ის ბაკალავრიატის საბჭოს სხდომის ოქმი და უსდ-ის დადგენილება სასწავლო კურსების დამტკიცების შესახებ; უსდ-ის დადგენილება გენდერული თანასწორობის კონცეფციის დამტკიცების შესახებ და გენდერული თანასწორობის კონცეფცია; უსდ-ის დადგენილება იუნკერთა და მაგისტრატურის მსმენელთა მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ და უსდ-ის იუნკერთა და მაგისტრატურის მსმენელთა მიერ წარმოდგენილი შიდა პროექტების დაფინანსების წესი. უსდ-ის დადგენილება უსდ-ის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშითა და თანდართული დოკუმენტაციით **დასტურდება 2 რეკომენდაციის სრულად შესრულება, 1 რეკომენდაცია ჩაითვალოს შესრულებულად მცირეოდენი ცვლილების განხორციელების შემდეგ.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კომისიის ოქმები) დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (აკადემიის ადმინისტრაცია, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი). სასურველია ანგარიშის მომზადების პროცესში სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობაც (იუნკერები).

რჩევ(ებ)ი[8]

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

1. **სასურველია** აკადემიაში მეტი აქცენტი გაკეთდეს გენდერული თანასწორობის, მრავალფეროვნების და ინკლუზიის ხელშეწყობის გაძლიერებაზე. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სპეციალიზებული პროგრამების განხორციელებით, რომლებიც მიმართულია მიკერძოებისა და სტერეოტიპებისაკენ, გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობის ხაზგასმით. ამ სტრატეგიების ჩართვით სამხედრო განათლების სკოლებს შეუძლიათ აქტიური წვლილი შეიტანონ უფრო ინკლუზიური და სამართლიანი სამხედრო კულტურის განვითარებაში, რაც ორმხრივ სარგებელს მოუტანს ეროვნულ უსაფრთხოებასა და საზოგადოების წინსვლას;
2. **სასურველია** აკადემიის მისიის გადახედვა, რათა იგი მოიცავდეს სამოქალაქო აუდიტორიას, რაც ხელს შეუწყობს ტოტალური თავდაცვის კულტურას საერთო განათლების მეშვეობით (მაგ., აკადემიის მისიაა მოამზადოს ოფიცერი და სამოქალაქო კადრები...);
3. **სასურველია** ამ სფეროში ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება (სამხედრო პროფესიის ოფიცერთა კვალიფიკაციის ჩარჩო , რომელიც სრულად შეესაბამება ევროპულ კვალიფიკაციის ჩარჩოს და, შესაბამისად, შეესაბამება საქართველოს კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს), რათა მიეთითოს სწავლის შედეგების დარგობრივი სპეციფიკა;
4. **სასურველია** გაიზარდოს პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, რადგან შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა შედარებით მაღალი რჩება. პროგრამის ხელმძღვანელებმა პრაქტიკულად უნდა გამოიძიონ ეს გამოწვევები და უნდა გამოიმუშაონ სტრატეგიები მათ დასაძლევად. ამით ისინი გზას გაუხსნიან უფრო მეტ სტუდენტს, რათა წარმატებით დაასრულონ მთელი პროგრამა;
5. **სასურველია** მეტი პრიორიტეტი მიენიჭოს პროგრამის განვითარების შედეგად მიღებული შედეგების მდგრადობას. გარდა ამისა, აკადემიისთვის მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის დანერგვა თავის საგანმანათლებლო მისიაში, რაც ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი და გამდიდრებული სასწავლო გარემოს შექმნას. ეს მიდგომა შეამსუბუქებს სტუდენტებისა და პედაგოგების წინაშე არსებულ შეზღუდვებს, რომელიც უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თანამედროვე ლიტერატურის წვდომას ეხება. უფრო მეტიც, ინგლისური ენის ცოდნის ამაღლება სასარგებლო იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ფაკულტეტის წევრებისთვის.;
6. **სასურველია** აკადემია გახდეს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯის ასოცირებული ქსელის პარტნიორი და შემდგომში შეუერთდეს ე.წ. „სამხედრო ERASMUS“ ინიციატივას, მის ფარგლებში ევროკავშირის დონეზე შემუშავებულ და შეთანხმებულ საერთო მოდულების პროგრამის სასწავლო გეგმებში ჩართულობის გზით;
7. **სასურველია** სამეცნიერო ცენტრის უფრო მჭიდრო კავშირის შემუშავება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების პერსონალთან და სტუდენტებთან;
8. **სასურველია** პერსონალისთვის დამატებითი მექანიზმების შემუშავება: ინგლისური ენის ცოდნის გრძელვადიანი კურსები და აკადემიური წერის სპეციალური ტრენინგები სამეცნიერო უნარების დაუფლებისთვის;
9. **სასურველია** პრიორიტეტი მიენიჭოს საერთაშორისო გამომცემლობებში ბოლო დროს გამოცემული დარგთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის შეძენას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით (MES 5 23 001682894) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „თავდაცვა და უსაფრთხოება“ მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და რეკომენდაციების (3 რეკომენდაცია) შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელიწადი. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში უსდ-მ წარმოადგინა დათქმულ ვადაში (02.12.2024).

უსდ-ის ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში **წარმოდგენილი რჩევებიდან (9 რჩევა) გათვალისწინებულ იქნა 3 რჩევა.** სასურველია, უსდ-მ შემდგომ აკრედიტაციამდე გაითვალისწინოს სხვა რჩევებიც, განსაკუთრებით ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	**რეკომენდებულია ვიწრო აქცენტის მქონე სწავლის შედეგების გადახედვა და ხელახლა ფორმულირება. სწავლის შედეგები შეიძლება დაიწეროს სწავლის სფეროზე ადაპტირებული საქართველოს**

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს აღწერების გამოყენებით. მაგალითად, სწავლის შედეგი „რთული პრობლემების/გამოწვევების/შემთხვევების გადასაჭრელად აანალიზებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ, სამხედრო, დიპლომატიურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებების ძირითად კონცეფციებს და თეორიებს“ შეიძლება გახდეს „პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული, სამხედრო, დიპლომატიური და ჰუმანიტარული მეცნიერებების თეორიების გაფართოებული ცოდნა, მათ შორის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული ანალიზი“, და დაჯგუფდეს სწავლის სფეროს ქვეშ „ცოდნა/ გაცნობიერება“. ამგვარად, ეს სწავლის შედეგები მოიცავს მრავალი დაქვემდებარებული კურსის სწავლის შედეგს, რომელიც უფრო ბიჰევიორისტული, აღწერილობითი და გაზომვადი ფორმით არის დაწერილი, რაც შემდეგ შეიძლება აისახოს სწავლის შედეგების მატრიცაში;
შეფასება	უსდ-ის მიერ წარმოდგენილი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის (შემდგომში: უსდ-ის ანგარიში) მიხედვით, აკადემიამ გაითვალისწინა რეკომენდაცია. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული კურიკულუმის მიხედვით, დასტურდება რეკომენდაციის შესრულება. კერძოდ, სწავლის შედეგების „ცოდნა და გაცნობიერება“ ნაწილში შედეგის რეფორმულირება განხორციელდა შემდეგი სახით: „ფლობს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული, სამხედრო, დიპლომატიური და ჰუმანიტარული მეცნიერებების თეორიების ფართო ცოდნას, მათ შორის კრიტიკულად იაზრებს პრინციპებს.“ **რეკომენდაცია შესრულებულია.**
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის ანგარიში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე (შემდგომში: უსდ-ის ანგარიში) • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია პროგრამების სწავლის შედეგების გადახედვა: რაოდენობის შემცირება, მათი ობიექტის გაფართოება და მათი დაჯგუფება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ აღწერილი სწავლის სფეროების მიხედვით („ცოდნა/ გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობა“). უფრო მეტიც, რეკომენდებულია, სადაც რელევანტური და მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგებში სამოქალაქო და სამხედრო ასპექტების უფრო მკაფიოდ გამიჯვნა და იმ სწავლის შედეგების გადახედვა და ხელახლა ფორმულირება, რომლებიც დაწერილია კომპეტენციების მიხედვით, რათა მათი როგორც სწავლის შედეგების გაზომვა მოხდეს საგანმანათლებლო გარემოში;**
შეფასება	უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, რეკომენდაცია გაზიარებულია. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული კურიკულუმის მიხედვით, დასტურდება რეკომენდაციის შესრულება. კერძოდ, სწავლის შედეგები დაჯგუფებულია საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ აღწერილი სწავლის სფეროების მიხედვით („ცოდნა/ გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობა“); სწავლის შედეგები რაოდენობრივად შემცირებულია, გამიჯნულია სამოქალაქო და სამხედრო ასპექტები. აღნიშნული ცვლილებები შესაძლებელს გახდის სწავლის შედეგების გაზომვას საგანმანათლებლო გარემოში. მიუხედავად აღნიშნულისა, შეკითხვას აჩენს სწავლის შედეგების „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ ნაწილში შემდეგი პუნქტი: „ხსნის ოცეულის დონის ქვედანაყოფის მართვის პრინციპებს, ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების საფუძვლებს.“ ჩვენი შეფასებით, წარმოდგენილი პუნქტი არ შეესაბამება „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ ნაწილს და გადატანილ უნდა იქნას სწავლის შედეგების „ცოდნა და გაცნობიერება“ ნაწილში. **რეკომენდაცია ჩაითვალოს შესრულებულად აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდეგ.**

მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია III	**რეკომენდებულია კურსის სწავლის შედეგების გადახედვა „პასუხისმგებლობის/ ავტონომიურობის“ გათვალისწინებით და პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა („ცოდნა/ გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობა“).**
შეფასება	უსდ-ის ანგარიშის თანახმად, რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა გათვალისწინებულია 3 სავალდებულო სასწავლო კურსში: „სოციალური კვლევის მეთოდები“, „საბაკალავრო ნაშრომი“, „საერთო-საჯარისო ტაქტიკა 2“ (სამხედრო კომპონენტის კურსი, რომელიც სავალდებულოა ყველა საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამისთვის). მტკიცებულების სახით წარმოდგენილია სამივე აღნიშნული კურსის სილაბუსი, სადაც დასტურდება სწავლის შედეგებში „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის“ გათვალისწინება. ასევე, სილაბუსებში წარმოდგენილი პუნქტები შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან. განხორციელებული ცვლილებები ასახულია უსდ-ის ბაკალავრიატის საბჭოს სხდომის ოქმსა და უსდ-ის დადგენილებაში. . **რეკომენდაცია შესრულებულია.**
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის ანგარიში • სასწავლო კურსების სილაბუსები • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი • უსდ-ის ბაკალავრიატის საბჭოს სხდომის ოქმი (MOD 8 24 01019061, ოქმი # 14, 12.08. 2024). • უსდ-ის დადგენილება ბაკალავრიატის 2024-2025 სასწავლო წლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო კურსების დამტკიცების შესახებ (MOD 7 24 01081106, 26/08/2024)

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.1. პროგრამის მიზნები
რჩევა 1	**სასურველია აკადემიაში მეტი აქცენტი გაკეთდეს გენდერული თანასწორობის, მრავალფეროვნების და ინკლუზიის ხელშეწყობის გაძლიერებაზე. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სპეციალიზებული პროგრამების განხორციელებით, რომლებიც მიმართულია მიკერძოებისა და სტერეოტიპებისაკენ, გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობის ხაზგასმით. ამ სტრატეგიების ჩართვით სამხედრო განათლების სკოლებს შეუძლიათ აქტიური წვლილი შეიტანონ უფრო ინკლუზიური და სამართლიანი სამხედრო კულტურის განვითარებაში, რაც ორმხრივ სარგებელს მოუტანს ეროვნულ უსაფრთხოებასა და საზოგადოების წინსვლას.**
შეფასება	უსდ-ის ანგარიშის მიხედვით, უსდ-მ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა, შეიმუშავა და დაამტკიცა გენდერული თანასწორობის კონცეფცია. თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია უსდ-ის დადგენილება გენდერული თანასწორობის კონცეფციის დამტკიცების შესახებ (20.11.2024) და გენდერული თანასწორობის კონცეფცია, რომელიც შედგება 8 მუხლისგან და შეიცავს მრავლობით საკითხებს. **რჩევა შესრულებულია.**
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის ანგარიში • დადგენილება გენდერული თანასწორობის კონცეფციის დამტკიცების შესახებ (MOD 6 24 01493577; 20.11.2024) • გენდერული თანასწორობის კონცეფცია

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.

კომპონენტის დასახელება	1.1. პროგრამის მიზნები
რჩევა 2	**სასურველია აკადემიის მისიის გადახედვა, რათა იგი მოიცავდეს სამოქალაქო აუდიტორიას, რაც ხელს შეუწყობს ტოტალური თავდაცვის კულტურას საერთო განათლების მეშვეობით (მაგ., აკადემიის მისიაა მოამზადოს ოფიცერი და სამოქალაქო კადრები...).**
შეფასება	უსდ-ის ანგარიშის მიხედვით, უსდ-მ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა, მოხდა მისიის განხილვა უსდ-ს აკადემიურ საბჭოზე და მოთხოვნა გაგზავნილია თავდაცვის სამინისტროში დამტკიცების მიზნით. თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილია აკადემიის მისიაში ცვლილების მოთხოვნის დოკუმენტი (უსდ-ის დადგენილება უსდ-ის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ), რომლის მიხედვით, აკადემიის მისიამ უნდა ასახოს შემდეგი დებულება: "ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიას წარმოადგენს ქვეყნისა და თავდაცვის სამინისტროს სისტემისთვის ღირსეული, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალის, ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსისა და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელების მეშვეობით." **რჩევა ჩაითვალოს შესრულებულად**
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის ანგარიში • უსდ-ის დადგენილება უსდ-ის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ (MOD 3 24 01224392, 25.09.2024);

სტანდარტის დასახელება	**4.** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1. ადამიანური რესურსი
რჩევა 3	**სასურველია სამეცნიერო ცენტრის უფრო მჭიდრო კავშირის შემუშავება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების პერსონალთან და სტუდენტებთან;**
შეფასება	უსდ-ის ანგარიშის მიხედვით, აკადემიამ გაიზიარა რჩევა. კერძოდ, უსდ-მ შეიმუშავა „აკადემიაში იუნკერთა და მაგისტრატურის მსმენელთა მიერ წარმოდგენილი შიდა პროექტების დაფინანსების

	წესი“, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაკავშირებას აკადემიის პერსონალთან, იუნკერებთან და მაგისტრატურის სტუდენტებთან სამეცნიერო პროექტებისთვის დაფინანსების მოპოვების პროცესში. დაფინანსების წესის წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, უსდ ყოველ სემესტრში უზრუნველყოფს დაფინანსების მიღებას საგანმანათლებლო/სამეცნიერო პროექტებისთვის, რომელთა წარდგენის შესაძლებლობა აქვთ იუნკერებს/მაგისტრატურის სტუდენტებს აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით. დოკუმენტში დეტალურად გაწერილია განაცხადების მიღების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, შეფასების განმახორციელებელი კომისიის შემადგენლობა, სადაც სხვა ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად წარმოდგენილია სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი. **რჩევა შესრულებულია.**
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის ანგარიში. • უსდ-ის დადგენილება იუნკერთა და მაგისტრატურის მსმენელთა მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ (MOD 1 24 01502904; 21.11.2024) • უსდ-ის იუნკერთა და მაგისტრატურის მსმენელთა მიერ წარმოდგენილი შიდა პროექტების დაფინანსების წესი. 2024.

ექსპერტის ხელმოწერა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გვანცა აბდალაძე